ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი 2026-2027

ფსიქოლოგია

📖 პროგრამული გზამკვლევი პირველსემესტრელთათვის

> 📌 აკადემიური რეგისტრაცია
> საგნების არჩევა ანუ აკადემიური რეგისტრაცია პირველსემესტრელთათვის იწყება
> **16 სექტემბერს.**
> **რეგისტრაციისთვის ეწვიეთ ელექტრონულ პორტალს: uni.tsu.ge**

📌 პირველი სასწავლო წლის კრედიტები

- ✓ **სავალდებულო საგნები:** 10 საგანი (50 კრედიტი)
- ✓ **არჩევითი საგნები:** 3 საგანი (15 კრედიტი)

პირველ კურსზე სულ უნდა დააგროვოთ **60-65 კრედიტი.**

ფსიქოლოგიის პროგრამაში ყველა საგანი **5 კრედიტიანია**.

📝 I - შემოდგომის სემესტრი

შემოდგომის სემესტრში აუცილებლად უნდა გაიაროთ შემდეგი 4 სავალდებულო კურსი:

1	ფსიქოლოგიის საფუძვლები 1
2	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1
3	სტატისტიკა 1
4	ინგლისური ენა 1

ასევე დამატებით უნდა შეარჩიოთ 2 სასურველი საგანი სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან, მაგალითად:

5	არჩევითი საგანი ან ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის
6	ბიოლოგიური ფსიქოლოგია ან არჩევითი საგანი

II - გაზაფხულის სემესტრი

გაზაფხულის სემესტრში უნდა გაიაროთ ორსემესტრიანი საგნების მეორე ნაწილები (4 საგანი-20 კრედიტი), დარჩენილ კრედიტებს კი შეივსებთ სავალდებულო ან არჩევითი საგნებით.

> **! გაითვალისწინეთ:** ორსემესტრიანი საგნების მეორე ნაწილს ვერ გაივლით, თუ ჩაგივარდებათ აღნიშნული საგნის პირველი ნაწილი. მაგალითად, თუ ჩაიჭრებით ფსიქოლოგიის საფუძვლები 1-ში, გაზაფხულის სემესტრში ვერ შეძლებთ ფსიქოლოგიის საფუძვლები 2-ის გავლას.

საგნების სემესტრული განაწილება პირველ კურსზე

□ შემოდგომის სემესტრის საგნები	□ გაზაფხულის სემესტრის საგნები
ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	ფსიქოლოგიის საფუძვლები 2
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2
სტატისტიკა 1	სტატისტიკა 2
ინგლისური ენა 1	ინგლისური ენა 2
ბიოლოგიური ფსიქოლოგია *	□ იკითხება ორივე სემესტრში
ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის **	□ იკითხება ორივე სემესტრში
არჩევითი საგნები ***	□ იკითხება ორივე სემესტრში

□ მნიშვნელოვანი შენიშვნები:

* აღნიშნული საგნები (ბიოლოგიური ფსიქოლოგია, ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის და არჩევითი საგნები) იკითხება ორივე სემესტრში, რაც გაძლევთ განრიგის მოქნილად დაგეგმვის საშუალებას.

** თუ სტუდენტს უკვე გავლილი აქვს „აკადემიური წერა“, აღნიშნული კურსის გავლა აღარ ევალება.

*** პირველსემესტრელებისთვის ხელმისაწვდომია არჩევითი საგნები წინაპირობის გარეშე. სემესტრში გამოცხადებული საგნების ზუსტი ჩამონათვალი შეგიძლიათ დააზუსტოთ სასწავლო განრიგში.

სწავლა იწყება 21 სექტემბერს

გისურვებთ წარმატებებს!